# ახალი ხარაგაული

298 (25) 21 სექტემბერი, 2015 წ

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი პოლონეთში იმყოფებოდა



იმერეთის მხარის დელეგაცია სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილის იოსებ ხახალეიშვილის ხელმძღვანელობით, პროექტის "პარტნიორობა დემოკრატიული განვითარებისათვის ,,Inter-EKiP 2015" ფარგლებში კუიავსკო–პომორსკის რეგიონს სტუმრობდა. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იმყოფებოდნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჯემალ მებუკე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობინზონ გვენეტაძე .

ერთობლივი პროექტი 2014 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსდა. იგი მიზნად ისახავს რეგიონებს შორის თანამშრომლობის განვითარებასა და სოციალური, სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროებში გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნული ვიზიტის ძირითადი თემა სოფლის მეურნეობა და აგროტურიზმი იყო. დელეგაციის წევრებს საშუალება ჰქონდათ, მოენახულებინათ ფერმერული მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები. ადგილზე გაეცნენ აღნიშნულ სფეროებში არსებულ უახლეს ტექნოლოგიებსა და მიღწევებს.

პოლონეთის ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა ,,ხარაგაულმა ვიზიტის ფარგლებში ინტერესი გამოხატა ტურიზმის მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავებაზე, განსაკუთრებით ხაზი გაესვა აგროტურიზმს და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის უდიდესი პოტენციალის გამოყენებას ამ კუთხით.

კუიავსკო-პომორსკი რეგიონში საფუძველი ჩაეყარა პროექტს ტურიზმის განვითარებისათვის და სტიმულირებისათვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხდება ტურისტების სტიმულირება, რომლებთაც კონკრეტულ ადგილზე მისვლით და იქ თავიანთი თავის დაფიქსირებით, (უნდა იპოვნონ შესაბამისი კაფსულა) ქულები ენიჭებათ. სავსებით შესაძლებელია, ამ პროგრამის ფარგლებში ბორჯომ -ხარაგაულის ეროვნულ პარკში აღნიშნული პროგრამით ტურისტების მოზიდვის ხელშეწყობა მოხდეს. აგრეთვე სოფლის მეურნეობის კუთხით, განიხილება ჩვენი პროდუქციის მაგალითად ვაშლის, კონცეტრატებად გადამუშავება, რომლის შეტანასაც ევროპულ ბაზარზე კუიავსკო-პომორსკის რეგიონის ფერმერები უზრუნველყოფენ.

ვიზიტის ბოლოს შეხვედრა გაიმართა კუიავსკო–პომორსკის რეგიონის გუბერნატორთან პიოტრ ცოვბესკისთან. შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რეგიონებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისათვის ახალი პროექტებისა და აქტივობების განხორციელების აუცილებლობას.

მიმდინარე წლის ოქტომბერში იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია უკვე ბრიუსელშია მიწვეული, სადაც კუიავსკო–პომორსკის რეგიონის წარმომადგენლობის გახსნის ცერემონია გაიმართება და იმერეთის რეგიონის პირველ პირებს ევროპის კავშირის მაღალი დონის თანამდებობის პირებთან შეხვედრის საშუალება მიეცემათ.სამხარეო ადმინისტრაციის დელეგაცია პოლონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებშიც მიიღებს მონაწილეობას.

**თეა ბერიძე,**
**მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**

## ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ ერთობლივი ინიციატივით თხოვნით მიმართეს საერთაშორისო ორგანიზაციას „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რათა მათ ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ეტლები გადმოეცათ. მართლაც ორმხრივი მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე 15 სექტემბერს გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მოადგილე თემურ ჩხეიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა ბარბაქაძემ და საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მაია კვეზერელმა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 17 პირს დამხმარე მოწყობილობები პირადად გადასცეს. მაია კვეზერე-

გაგრძელება▶2

## ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხარაგაულელ პირველკურსელებს შეხვდნენ

11 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორმა, მამუკა ჭიპაშვილმა, ხარაგაულელ პირველკურსელებთან გამგეობის სააქტო დარბაზში შეხვედრა გამართა. წელს ხარაგაულის სტუდენტთა არმიას 88 პირველკურსელი შეემატა. აქედან 11-მა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა. მამუკა ჭიპაშვილმა კიდევ ერთხელ მიულოცა მათ სტუდენტობა, დაულოცა სავალი გზები და დამსწრე საზოგადოებას სიამაყით გააცნო თითოეული მათგანის სახელი და გვარი. პირველკურსელებს გზები დაულოცა და ღვთის წყალობა უსურვა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელმა მამა ანტონმა: „ღმერთმა დაგლოცოთ! თქვენ იცით, რომ რამდენიმე თვეა, რაც ხარაგაულში სასულიერო საქმეს

გაგრძელება▶2

## 14 სექტემბერს ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი განახლდა



14 სექტემბერს საქართველოს ყველა სკოლაში სწავლა დაიწყო. ბავშვებმა სიხარულით შეაღეს სკოლის კარი. პირველი დღე განსაკუთრებით სასიამოვნო და ამაღელვებელი იმ ბავშვებისათვის იყო, რომლებმაც პირველად გაადაბიჯეს სკოლის ზღურბლს და ბაღიდან სკოლაში გადაინაცვლეს. დაბა ხარაგაულის სკოლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თეიმურაზ ჩხეიძე, დავით დევდრიანი, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მათ სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და ნაყოფიერი წელი უსურვეს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. ამავე დღეს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბაზალეთის საჯარო და ღარიხევის დაწყებით სკოლასაც სტუმრობდა.



წელს ხარაგაულის სკოლებს 145 პირველკლასელი შეემატა. ამაში არ შედიან ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის აღსაზრდელები, მათ სწავლა 28 სექტემბერს დაეწყებათ. ყველა პირველკლასელმა, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე ხარაგაულში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან საჩუქრად კომპიუტერი მიიღო.



„დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, ხარაგაული სიხარულითაა აღსავსე, რადგან სწავლა დაიწყო და მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს დიდი სიხარულით ეგებებიან. გასული სასწავლო წელი ხარაგაულისათვის წარმატებული იყო, რადგან ბევრი აბიტურინეტი სტუდენტი გახდა, ამას კი წინ ბევრი შრომა უძღოდა. პედაგოგებს მინდა, მადლობა გადავუხადო იმ დიდი შრომისა და ღვაწლისათვის, რასაც ისინი ყოველწლიურად სწევენ„-აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ბავშვებს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ. მან მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა: „წელს პირველკლასელების მატება გვაქვს, ეს ძალიან სასიხარულოა. მიხარია, რომ მოსწავლეები ფორმებში არიან გამოწყობილები. მინდა, წარმატება გისურვოთ თითოეულ თქვენგანს. მთავარია, ღირსეული მამულიშვილები გამოხვიდეთ. სკოლის უმთავრესი მიზანია ჩვენს ქვეყანას პატრიოტი მოქალაქეები აღუზარდოს და ხარისხიანი განათლება მისცეს. მინდა გითხრათ, რომ წელს უამრავი პროექტი ხორციელდება. ყველა მოსწავლეს უსასყიდლოდ გადაეცემა სასკოლო სახელმძღვანელოები. გრძელდება მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოსწავლეს შესაბამისი ცოდნის მიღების საშუალება ჰქონდეს და თავი კომფორტულ გარემოში იგრძნოს. მინდა, კიდევ ერთხელ წარმატებები და წინსვლა გისურვოთ, ბავშვებო!“

შეგახსენებთ, რომ წელს პირველად, დაბის N3 საჯარო სკოლაში სკოლის ადმინისტარციის ინიციატივით სასკოლო ფორმები შემოიღეს.

დაბის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს წარმატებები უსურვეს დირექტორმა, მარინე ხვედელიძემ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა კვინიკაძემ, ამავე სკოლის კურსდამთავრებულებმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ.

„მეამაყება, რომ ეს სკოლა დავამთავრე. დარწმუნებული ვარ N3 საჯარო სკოლა ისევ მიაღწევს იმ წარმატებებს, რომლებიც ჰქონდა. ყველა მოსწავლე, ვინც აქ სწავლობს, იამაყებს, რომ ეს სკოლა დაამთავრა. ისინი ასახელებენ არა მარტო ხარაგაულს, არამედ მთელ საქართველოს. გილოცავთ და წარმატებულ მომავალს გისურვებთ„-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილიმა.

N2 საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს ლამაზი ღონისძიებით შეეგება. წარმატებულ მოსწავლე - მასწავლებლებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები დირექტორმა,, ვალერი გოგნაძემ, გადასცა.

არანაკლებ საზეიმო ვითარებაში შეხვდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას ღარიხევისა და ბაზალეთის სკოლები. ღარიხევის დაწყებითი სკოლის პირველ კლასის ერთადერთ მოსწავლეს, მარიამ ტაბატაძეს, სასწავლო კომპიუტერი მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა პირადად გადასცა. სოფელ ღარიხევის სკოლა 107 წლისაა, სკოლაში სულ 4 მოსწავლეა. სკოლის პედაგოგი, ნინო ლოლაძე, სერტიფიცირებული პედაგოგია. მისი სურვილია, სოფელში ახალგაზრდები დაბრუნდნენ და სკოლაში ბევრი მოსწავლე იყოს.

ნინო ლოლაძის თქმით, ერთი საუკუნის წინ ეს შენობა სოფელს უსასყიდლოდ გადასცა ადგილობრივმა მცხოვრებმა, იმ დროისათვის აქ 100-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა. ამჟამად საუბარია შენობის რეაბილიტაციაზე. ფიქრობენ, მას პირვანდელი სახე და მემკვიდრეობითი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს.

ეკა შავიძე

# ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხარაგაულელ პირველკურსელებს შეხვდნენ

▶1 გვ.

ვუძღვივარ. მე ძალიან შემიყვარდა ხარაგაულელი ხალხი. ჩემთვის უდიდესი პატივია რომ დღეს თქვენ წინაშე ვდგავარ და ხარაგაულის მომავალს ვულოცავ დღევანდელ დღეს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, წარმატება მოგცეთ უფალმა! ასევე მინდა მეუფე მელქისედეკის კურთხევა გადმოგცეთ. მან დიდი ბოდიში მოგიხადათ, რომ ვერ მოახერხა ჩამოსვლა, მაგრამ გადმოგცათ ლოცვა-კურთხევა და გისურვათ წარმატებები პირად ცხოვრებაში. ღმერთმა გაკურთხოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ! ამინ!“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა, ახალგაზრდებს სტუდენტობა მიულოცა და დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე წინსვლა-განვითარება უსურვა. „ეს იმ დიდებული გზის დასაწყისია, რომელიც თითოეულ თქვენგანს პროფესიონალად ჩამოაყალიბებს და ცხოვრების გზაზე უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს. დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანის შრომით და ცოდნით ხარაგაული იამაყებს. მინდა, მოგილოცოთ და სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო თქვენდამი. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის და ხარაგაულის მომავალი. მიხარია და მსიამოვნებს ხარაგაულელების წარმატებები. ხარაგაული დღეს ახერხებს მუდამ გამარჯვებების რეჟიმში ყოფნას. იმედი მაქვს, მოახერხებთ იყოთ აქტიურები სხვადასხვა მიმართულებით. აუცილებლად უნდა შეძლოთ ნახოთ და შეიცნოთ სხვა ქვეყნების ტრადიციები, ეკონტაქტოთ იქაურ თანატოლებს, ხოლო ამ კუთხით მუნიციპალიტეტმა უნდა შეძლოს საერთაშორისო დონეებზე ურთიერთობებს ხელი შეუწყოს. რამდენიმე დღის წინ დაასრულა იმერეთის დელეგაციამ შეხვედრები პოლონეთში, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით. ვიზიტის ფარგლებში ერთ-ერთი მთავარი დაინტერესება გამოიკვეთა. ეს იყო მომავალი ურთიერთობები მათთან, როგორც კულტურული ასევე ტურისტული და



საგანმანათლებლო კუთხით. გარკვეულწილად გამოიკვეთა პოზიცია, რომ მომავალში დაიგეგმება გაცვლითი პროგრამები, რომელიც აუცილებლად შეეხება ხარაგაულსაც. ასეთი პროგრამებით წარჩინებული სტუდენტები აღმოჩნდებიან სხვადასხვა უნივერსიტეტებში და უფრო მეტად გაიღრმავებენ ცოდნას. ვფიქრობ,ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის ეს არის მონაპოვარი, რომელსაც გილოცავთ და ამ შესაძლებლობის გამოყენებას გისურვებთ! მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პედაგოგებს, რომლებმაც ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ თქვენ ასეთი წარმატებულები გამხდარიყავით. მადლობა ასევე რესურსცენტრს, რომელიც ასე ორგანიზებულად ახერხებს თქვენთან ურთიერთობას და, რაც მთავარია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრს და მის დირექტორს მამუკა ჭიპაშვილს, გამორჩეულად მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა მამა ანტონს, ჩვენი ახალგაზრდობის აღმზრდელს, როგორც გიმნაზიის ხელმძღვანელს. ჩვენ დიდი მოლოდინები გვაქვს ამ დაწესებულების მხრიდან. იგი კვლავ ინარჩუნებს ლიდერ პოზიციებს და გიმნაზიის აღზრდილები გამორჩეულად წარმატებულები არიან. მე მინდა გამცნოთ, რომ რელიგიის საკითხთა სააგენტოსთან შეთანხმებით უახლოეს დღეებში დაიწყება სკოლა-გიმნაზიის სარემონტო სამუშაოები.

ჩვენო სტუდენტებო, დარწმუნებული ვარ, როგორც სკოლის პერიოდში იყავით წარმატებულები, ასევე იქნებით გამორჩეული სტუდენტები. დიდი წარმატებების დასაწყისს გილოცავთ.



გაძლიერდით, პროფესიონალებად დაგვიბრუნდით, ან თუ არ დაბრუნდებით, ისეთი გზით იარეთ, რომ მუდამ გვეამაყებოდეს თქვენი ხარაგაულელობა!“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ პირველკურსელებს მათი მთავარი ამოცანა შეახსენა, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ სწორედ ამ ახალმა თაობამ უნდა წაიყვანოს. ამისთვის კი საჭიროა, გახდნენ პროფესიონალები და უყვარდეთ საკუთარი საქმე - „ყველა ჯერზე, როცა თქვენ გხვდებით სიამოვნება მიპყრობს, რადგან თქვენ ასოცირდებით მომავალთან, სიახლეებთან, პროგრესთან და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის კეთილდღეობასთან. გილოცავთ თქვენი ნაყოფიერი შრომის შედეგს. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ყველა ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ირჩევს პროფესიას და დიდ ცხოვრებისეულ ასპარეზზე პირველად დგამს დამოუკიდებელ ნაბიჯებს. ახლა კიდევ უფრო საინტერესო ეტაპი და მთავრი ამოცანა გაქვთ წინ, რათა კარგად დაეუფლოთ თქვენ მიერ არჩეულ პროფესიას, გიყვარდეთ თქვენი საქმე. რაც ყველაზე მთავარია, გაქვთ შინაგანი თავისუფლება და ეს დაგეხმარებათ უკეთ წარმართოთ საკუთარი ცხოვრება, რაც ავტომატურად განაპირობებს იმას, რომ ქყვენის მომავალიც უკეთესობისკენ შეიცვლება. გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

კურსდამთვარებულებს სტუდენტობა მიულოცეს საკრებულოს დეპუტატებმა.

ვალოდა კელენჯერიძე(ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე): დღეს განსაკუთრებული დღეა მეგობრებო. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენს სიამაყეს, ახალგაზრდა თაობას დიდი მომავალი აქვს. ხარაგაული ოდითგანვე ამაყობდა იმით, რომ აქ განსაკუთრებულად გამორჩეული თაობები იზრდებიან. დარწმუნებული ვარ თქვენი სახით ღირსეული მომავალი გვეყოლება. თქვენზეა დამოკიდებული სამშობლოს ხვალინდელი დღე. გისურვებთ წარმატებებს!

ვარლამ ჭიპაშვილი( საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე): მოგესალმებით ჩვენო პირველკურსელებო, ხარაგაულის ხვალინდელი დღის იმედებო! გილოცავთ უბედნიერესი წლების დასაწყისს. ხარაგაული ამაყობს თქვენით და დარწმუნებული ვარ, ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი წარმატებისა, რომელსაც თქვენ მიაღწევთ. თორმეტწლიანი შრომის შედეგად თქვენ მიიღეთ ნაყოფიერი მოსავალი, რასაც სტუდენტობა ჰქვია. სტუდენტობა საპატიო სტატუსია და ვფიქრობ, რომ ამ წოდებას მთელი არსით გამოიყენებთ და გამოადგებით თქვენს ხარაგაულს, საქართველოს. ჩვენ თქვენ გვერდით ვართ“.

სტუდენტებს ასევე მიესალმა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი თინათინ ბოჭორიშვილი და მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, როლებმაც წვლილი შეიტანეს ახალგაზრდების წარმატებაში. „გილოცავთ სტუდენტობას. მინდა, გისურვოთ წარმატება და ულევი სიხარული! თქვენ უდიდესი შრომა გასწიეთ იმისათვის, რომ გამხდარიყავით სტუდენტები, მაგრამ უფრო მეტი უნდა იშრომოთ, რომ გახდეთ კვალიფიციური პროფესიონალები, ასევე ღირსეული მოქალაქეები. საქართველოს ძლიერება დამოკიდებულია განათლებული საზოგადოების არსებობაზე. თქვენ ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში“.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, სტუდენტებმა გამგეობის სააქტო დარბაზიდან, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გადაინაცვლეს, სადაც მოისმინეს ეკა შველიძის ლექცია ,,ხარაგაული ჩემი სახლია“.

დასასრულს სტუდენტებისათვის გაიმართა კაფე-საღამო,რომელზეც სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი შეჯიბრებები მოეწყო.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ

▶1 გვ.

ლის განცხადებით, თანამედროვე, რბილი სავარძლის მქონე კომფორტული ეტლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით გადაეცა მათ მათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან ჰქონდა, მაგრამ დაზიანებული იყო. ,,ის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებდნენ დამხმარე მოწყობილობებს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დახმარებით შეირჩნენ. მსგავსი ტიპის აქტივობებს ჩვენი ორგანიზაცია რამდენიმე წელია ახორციელებს, მათ შორის ჩვენ ხარაგაულშიც გვქონდა ასეთი საქველმოქმედო აქცია. თუკი ხარაგაულში კვლავ დადგება ეტლების საჭიროება (თუმცა სასურველი ნამდვილად არაა), ჩვენ მზად ვართ ბენეფიციარები ისევ დავაკმაყოფილოთ“, - აღნიშნა ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ხელმძღვანელმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაია კვეზერელს ქველმოქმედებისთვის და დასძინა, რომ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზადაა განსაკუთრებული საჭიროობის მქონე პირებს გვერდით დაუდგეს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით სხვადასხვა სოციალური პროგრამა ხორციელდება. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის სულ მალე გაიხსნება დღის ცენტრი ბორის სკოლა პანსიონის ბაზაზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ასეთი საჭიროების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას შევუწყოთ ხელი.“

**ეკა შავიძე**

# კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა დაიწყო



კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა დაიწყო. „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში სოფლის სახლის მშენებლობისთვის 157 413 ლარი გამოიყო. სამუშაოებს შპს „ტუკა“ ასრულებს. კიცხის საზოგადოებრივი ცენტრი ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიხსნება.

საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიღებისთვის, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისთვის ადგილობრივ მცხოვრებთ მუნიციპალურ ცენტრში წასვლა აღარ მოუწევთ, რაც მათ თანხებისა და დროის დაზოგვის საშუალებას მისცემს. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი შენობით სოფელ კიცხისა და მიმდებარე სოფლების ვარძია, წყალაფორეთი, ხონი, ჩალხაეთი, პატარა ვარძია, ლახუნდარა, ბორი, საქარიქედი, იგორეთი, თეთრაწყარო, ხიდარი და ბუდიანეთის მცხოვრებნი ისარგებლებენ. მათ ცენტრში ადგილობრივი კადრები – თანასოფლელები, მოემსახურებიან. საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. ცენტრში ხელმისაწვდომია თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკაც. აღსანიშნავია, რომ სოფელ კიცხში და მიმდებარე სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრები ხელმისაწვდომი იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, აგრეთვე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის. მათ საშუალება მიეცემათ, კომფორტულ გარემოში შეხვდნენ მოსახლეობას, მიაწოდონ ინფორმაცია, იმსჯელონ აქტუალურ საკითხებზე, დაგეგმონ და ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება. ცენტრში განთავსდება გამგებლის წარმომადგენლის ოფისიც.

## მრავალშვილიან ოჯახს ,,სათნოების სახლი“ საკვები პროდუქტებით დაეხმარა




ხარაგაულის ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ დირექტორი, გიორგი ჩიჩილიძე, გამგებლის წარმომადგენელი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში სპარტაკ ლაცაბიძე და ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი ეკა შავიძე, დეისში მცხოვრებ ნინო კიკნაძის ოჯახს ესტუმრნენ და საკვები პროდუქტები გადასცეს.

ნინო კიკნაძის ოჯახი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაშია. ქალბატონი ნინო მარტოხელა მრავალშვილიანი დედაა. ოჯახის ძირითადი შემოსავალი სოციალური დახმარებაა. სახლი, რომელშიც კიკნაძეები ცხოვრობენ, ავარიულ მდგომარეობაშია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის გია ჭიპაშვილის ინფორმაციით, კომისიამ აღნიშნული ოჯახის მდგომარეობა შეისწავლა და მას მეორე კატეგორია მიანიჭა. ოჯახი განსაზღვრულ თანხას უახლოეს მომავალში მიიღებს.

ქალბატონმა ნინომ სტუმრებს ყურადღებისა და დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, მისი ოჯახის მიმართ პირველი არ არის.

## ხარაგაულში სამხატვრო პლენერი გაიმართება

ხარაგაულში, ოქტომბრის თვეში სამხატვრო პლენერი გაიმართება. რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა სამხატვრო პლენერისთვის მზადება უკვე დაიწყო. სამხატვრო პლენერის ფარგლებში არა მარტო დაბის, არამედ მთელი ხარაგაულის ხედები მოიხატება. სავარაუდოდ, ყველა სოფელში თითო-ორი მხატვარი გადანაწილდება. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ხარაგაულელი მხატვრებიც. როგორც იდეის ავტორი იზა ვეფხვაძე აღნიშნავს, პროექტზე არავითარი თანხა არ დაიხარჯება და თანამედროვე ცნობილი მხატვრები მოხალისეობრივი განწყობით ჩაერთვებიან პროექტში.

იზა ვეფხვაძე: - ,, მოგეხსენებათ ხარაგაული ულამაზესი რაიონია, საოცარი ხედებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკით, შემოდგომა კი განსაკუთრებით მომხიბვლელია. ამ პლენერს არ ექნება კონკურსის სახე, არ გვეყოლება გამარჯვებული, არც პრემიები იქნება. ეს არის მხოლოდ იმ მხატვრებისთვის, ვისაც უყვარს საქართველოს ამერ-იმერი, ვისაც შეუძლია თავის მარჯვენა სიკეთეს მოახმაროს. ეს მათი მხრიდან, არა მარტო პროფესიული ოსტატობის გამოვლენა, არამედ მათ მიერ გაწეული ქველმოქმედებაც იქნება საქართველოს ერთი უმშვენიერესი რაიონისთვის.“ სამხატვრო პლენერს მასტერკლასების დანიშნულებაც ექნება, ცნობილი მხატვრები თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ ხარაგაულის ხატვის პედაგოგებს და ხატვით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

ლიტერატურული თეატრი პლენერის მონაწილეებს დაუვიწყარ 2 დღეს ჰპირდება. მხატვრების ტრანსპორტირება , ღამისთევა, კვება ა(ა)იპ ,,რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის“ მიერ იქნება უზრუნველყოფილი. სამხატვრო პლენერი ორ დღიანია. მეორე დღეს გამოფენა დევებთან ღია ცის ქვეშ მოეწყობა.

სამხატვრო პლენერის ფარგლებში, ხარაგაულის ქუჩებსა და ხედებზე შექმნილი ნახატების გამოფენა დედაქალაქშიც მოეწყობა.

შემდგომში ეს კონკურსი ისე როგორც "ოდეონი" ტრადიციად იქცევა, - აღნიშნავს პროექტის ავტორი იზა ვეფხვაძე.



# „ეს გამარჯვება ჩემი მომავლის სტიმულია...“



სარგვეშის საჯარო სკოლის მესამეკლასელი იყო სალომე კვირიკაშვილი, როდესაც პირველად შეხვდა ხარაგაულის სამუსიკო სკოლის შემოქმედ კოლექტივს. კონკურსი „დო, რე, მი“ (პროექტის ავტორი ქალბატონი დალი მერაბიშვილი) გახდა ის ათვლის წერტილი, საიდანაც გაიცნო ეს ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგონა ჯერ ხარაგაულის, შემდეგ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის და მოგვიანებით საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის ხელოვნების მოტრფიალე საზოგადოებამ.

მრავალ კონკურსში გამარჯვებულმა სალომემ ამჯერად თურქეთის საკურორტო ქალაქ მარმარისში საერთაშორისო კონკურს „მომავლის ვარსკვლავში“ მიიღო მონაწილეობა. კონკურსი ხელოვნების ოთხ კატეგორიას მოიცავდა. მონაწილეობდნენ: საქართველოს, სომხეთის, გერმანიის, თურქეთის და იტალიის წარგზავნილები. სალომემ ღვთისაგან მიმადლებული არაჩვეულებრივი ვოკალით ნამდვილად დაატყვევა ჟიური და აღაფრთოვანა მსმენელ-მაყურებელი.

ქალბატონი ლალი ალექსიძე, შოთა ბუაჩიძის სახელობის ხარაგაულის სამუსიკო სკოლის დირექტორი: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ უშუალოდ განვიცადე ამ სანეტარო დღეებით გამოწვეული სიხარული და სიამოვნება. საერთაშორისო ფესტივალი მარმარისში 6-დან 10 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ძალზე ორგანიზებული და კომფორტული გარემო მონაწილეებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის მაქსიმალურ საშუალებას აძლევდა. სალომემ 8 სექტემბერს ორი ქართული სიმღერა შეასრულა. რევაზ ლაღიძის - „არ იფიქრო, დაგივიწყო“ და ნუნუ გაბუნიას - „გაზაფხული“, რასაც დიდი წარმატება და აღიარება მოჰყვა. მოუთმენლად ველოდი შედეგს. ფესტივალის დახურვის დღეს შევიტყობდით გამარჯვებული ათი კონკურსანტის ვინაობას. ვოკალის კატეგორიაში ოცდახუთი ძლიერი კონკურსანტი იბრძოდა. არ შემიძლია, სიტყვებით გადმოვცე ის განცდა, რაც საუკეთესო ათეულის სიის გაცნობას მოჰყვა. ათ კონკურსანტს შორის სალომეს გვარი რომ წავიკითხე, მეგონა მთელი სამყარო ჩემი იყო. სალომემ ვოკალში პირველი ადგილი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.“

დარეჯან გვაძაბია (სალომე კვირიკაშვილის ფორტეპიანოსა და ვოკალის პედაგოგი) – „ნიჭთან შერწყმულ შრომისმოყვარეობას რომ დიდი შედეგი მოაქვს, ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა აღნიშნულ კონკურსში სალომეს მიერ მოპოვებულმა წარმატებამ. სალომე ძალზე მოწესრიგებული და მიზანსწრაფული გოგონაა. ცდილობს დრო მაქსიმალურად გაანაწილოს. ამიტომაცაა, რომ იგი გამორჩეულია მაღალი აკადემიური წარმატებით. ის ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის მე-11 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მწამს, მიმდინარე სასწავლო წელს წარჩინებით დაამთავრებს ჩვენი სამუსიკო სკოლის შვიდწლიან კურსს და საერთაშორისო არენაზე კვლავ უამრავი გამარჯვების სიხარულთან გვაზიარებს.“

სალომე კვირიკაშვილი: „მადლობა უფალს, რომ სწავლა და ცხოვრება მიწევს გასაოცარი მზრუნველობით მოცულ ატმოსფეროში. შოთ ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლისა და ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივი წარმატების ყოველგვარ პირობას მიქმნიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რაიონის გამგებელს, ბატონ კობა ლუსმანაშვილს, რომლის ძალისხმევითაც დაფინანსდა ფესტივალში ჩემი მონაწილეობა.

არ შემიძლია, ულრმესი მადლიერება და პატივისცემა არ გამოვხატო სამუსიკო სკოლის დირექტორ ქალბატონ ლალი ალექსიძის მიმართ. კონკურსის დღეებში ის მშობელი დედასავით ზრუნავდა, რომ ემოციებისაგან განვტვირთულიყავი და თავისუფალი დრო ღირსშესანიშნაობათა გაცნობაში გამეხარჯა. ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება ქალაქ მარმარისის უმშვენიერესი ხედები. ქალბატონ ლალის წყალობით და მისი საკუთარი ფინანსებით იახტით მოვინახულე ულამაზესი ყურე, სადაც ერთმანეთს ერწყმის ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვები. პამუკალე, სხვაგვარად „ბამბის ციხე“, ნამდვილი ზღაპარია თავისი ბუნებრივი თერმული წყლებით მთიდან ჩამონადენი წყალი ქმნის ბუნებრივ ავზებსა და კედლებს. ქათქათა თეთრი ტერასები კალციუმით გაჯერებული წყლით უამრავი დაავადებისაგან კურნავს ადამიანს.

კონკურსზე გამგზავრებისას ათასგვარი ფიქრით ვიყავი მოცული - როგორი შედეგებით დავუბრუნდებოდი, როგორ შვხვდებოდი ჩემს ხარაგაულს, ჩემს სკოლას, მშობლებს, სოფელს. მახარებს, რომ ყველას იმედები გავამართლე. ეს კი ჩემი მომავლის სტიმულია.“

**მერი გიორგიძე**

# მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არსებული საშუალო ხელფასის ტოლი იქნება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015-2016 სასწავლო წელს განახლებული პროგრამების ამოქმედებას გეგმავს. ახალი სასწავლო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე სახელფასო პოლიტიკის განახლებული რეგულირება იქნება. 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არსებული საშუალო ხელფასის ტოლი იქნება. სახელფასო ზრდა შეეხება როგორც საბაზო ანაზღაურებას ასევე კარიერული საფეხურების მიხედვით ხელფასის ნაწილს. 2015-2016 სასწავლო წლებში ხელფასის ზრდა ორჯერადად იგეგმება და 100 ლარით გაიზრდება. იგეგმება საშუალო ხელფასის 40% ით გაზრდა, ამას გარდა მატება საფეხურებს შორის. პირველ მეორე საფეხურებს შორის დანამატი 180 ლარი იქნება, მეორე საფეხურზე 250 ლარი და შემდეგ საფეხურზე 300 ლარი.

# „გაერევა ერთი ასში...“

აუნაზღაურებელია ის დანაკლისი, რასაც ქართული მწერლობა და სრულიად საქართველო განიცდის...

2015 წლის 11 სექტემბერს 82 წლის ასაკში აღესრულა ცნობილი მწერალი, დრამატურგი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ქუთათური რეზო ჭეიშვილი.



„გაერევა ერთი ასში, მუსიკა რომ ესმის ქარში...“ - ეს სტრიქონები ბატონ რეზოს მიუძღვნა ადრე წასულმა პოეტმა ზურაბ კუხიანიძემ. დიახ, სწორედ ასში ერთი იყო რეზო ჭეიშვილი, რომელსაც ქარში „ესმოდა“ მუსიკა, მშობელი ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულით გაჯერებული მუსიკა, რომელიც შემდეგ პროზაულ და პოეტურ მარგალიტებად ილვრებოდა ფურცლებზე. ამ მარგალიტებით შეივსო გამდიდრდა და გადიადდა ქართველი ერის სულიერი საგანძური. ბატონი რეზო მუდამ გამორჩეული და განუმეორებელი სითბოთი ესიყვარულებოდა თავის „ადგილის დედას“, თავის ქუთაისს...

ბატონო რეზო! თქვენ სხვაგვარი ხიბლით იყავით დაკავშირებული ჩვენს პატარა სამკვიდროსთან, ჩვენს ხარაგაულთან, მის საზოგადოებასთან. სამიოდე თვის წინ გვესტუმრეთ და იყავით მონაწილე რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის საიუბილეო დღეებისა.

როგორ გაიხარეთ, როცა სწორედ ამ თეატრმა თქვენი ღირსეული ცხოვრების 65 წლისთავი აღნიშნა ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და წარმოადგინა იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლი - „მუსიკის ქარში ნათოვი სიბრძნე“. თქვენ საამაყო მეგობარი იყავით ამ თეატრისა და როცა დრო და ჯანმრთელობა საშუალებას გაძლევდათ, მის არაერთ სპექტაკლს დასწრებიხართ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„მე ქუთაისელი თბილისელი ვარ!“ - აცხადებდით, ბატონო რეზო, რაოდენი სიყვარულია ჩატეული ამ სიტყვებში. ამიტომაც აღსრულდა თქვენი ანდერძი - სრულიად საქართველო გამოეთხოვა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თქვენს წმინდა ნეშტს. გულში სათუთად ვიმეორებდი იოსებ გრიშაშვილის სიტყვებს:

„მიყვარს თბილისი ირაკლივით მუდამ მშფოთვარი

და მსურს, აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს!“

... 15 სექტემბერს ქუთაისის „მზე სწვავდა“ თქვენს კუბოს, შემდეგ კი „მწვანეყვავილას“ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონმა გაიხსნა გული და სამარადჟამოდ ჩაგიხუტათ დიდი ქართველი, დიდი ქუთათური - რეზო ჭეიშვილი!

მარადიული მშვიდობა თქვენს სულს, უკვდავება თქვენს დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ბატონო რეზო!

**მერი გიორგიძე**

# ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

10 სექტემებს მედია-კავშირ ,,ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ლიტერატურულ კონკურს ,,ოდეონის“ გამარჯვებულები გამოვლიდნენ.

ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი ნათია როსტიაშვილის ხვდა წილად,

მეორე ადგილიზე ლელა ცუცქირიძე გავიდა, ხოლო

მესამე ადგილის მფლობელი ნინო მოდრეკილაძე გახდა.

საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ: ინგა გოგიბერიძე, მამუკა ჭიპაშვილი, ედუარდ უგულავა, მაიკო მიქაია და ხვიჩა ყალაბეგაშვილი.




კონკურსანტებისათვის შემდეგი საპრიზო ფონდია გათვალისწინებული: პირველი ადგილი - 500 ლარი, მეორე ადგილი - 300 ლარი, მესამე ადგილი - 200 ლარი. საუკეთო ხუთეულს კი (თითოეული 100 ლარი) პავლე ჯიბუტი დააჯილდოებს. დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს პირადად დაუმატა ფულადი ჯილდო 100 ლარის ოდენობით. ნათია როსტიაშვილს ასევე გადაეცა ისრაელში მცხოვრები მაქს შავიტისგან დამზადებული სპეციალური პრიზი.

შეგახსენებთ, რომ ,,ოდეონი-2015“ 29-30 აგვისტოს ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშის მემორიალურ მუზეუმში გაიმართა, სადაც მონაწილეობას საქართველოს სხვდა კუთხის წარმომადგენლები იღებდნენ.

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე გრიგალავამ, ხარაგაულში შეხვედრა გამართა

8 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსი ლაშა მოისწრაფიშვილი, ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტორი ლევან თაბუნიძე, კავკასიის ბუნების დაცვის ფონდისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.




შეხვედრაზე კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული „დაცული ტერიტორიებისა და ადგილობრივ თემებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტის სქემა“ განიხილეს. კვლევის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენდა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მაგალითზე, მიდგომების ჩამოყალიბება საქართველოში დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კონფლიქტების დროული გამოვლენისათვის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის სპეციფიკური რეკომენდაციების შემუშავება. როგორც შეხვედრაზე ითქვა, წინამდებარე ანგარიშის სამუშაო ვერსია ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებსა და ადგილობრივ თემებს შორის არსებულ და პოტენციურ კონფლიქტებს და მათ გამომწვევ მიზეზებს აღწერს და კონფლიქტების გადაწყვეტასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს იძლევა. შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, შეხედულებების გაზიარება და ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბება.

შეხვედრა დებატების ფონზე წარიმართა. როგორც ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე განაცხადეს, მოსახლეობის უმთავრეს პრობლემას ხე–ტყის რესურსებითა და საძოვრებით სარგებლობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მიმდინარეობს ხე–ტყის არალეგალურად ჭრა, პრობლემაა ასევე უკანონო ნადირობა. როგორც აღინიშნა, ამის მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობას ალტერნატიული შემოსავლის წყარო არ გააჩნია. ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიები სასარგებლოა, მაგრამ მოსახლეობამ ეს უნდა გააცნობიეროს და ტურიზმი შემოსავლის მიღების ალტერნატიულ წყაროდ აქციოს. ეს იქნება მცირე საოჯახო სასტუმროს გამართვა თუ სხვა რამ - აღინიშნა შეხვედრაზე.

ხე–ტყის რესურსის არახელმისაწვდომობა ძირითად პრობლემად დაასახელეს ხარაგაულის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა დეპუტატებმაც. მათი განცხადებით, მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა თავიანთი სამეურნეო საქმიანობისთვის ტყის რესურსი გამოიყენოს, მაშინ როცა ხე–ტყის რაოდენობა გაზრდილია. ამ პრობლემების გამო, სოფლები დაცლილია. ეროვნული პარკის წარმომადგენლების განცხადებით ხე–ტყის რესურსი მოსახლეობამ უნდა გამოიყენოს, მაგრამ ლიმიტირებულად. ამ პრობლების მოსაგვარებლად კი მათ სატყეო სააგენტოს უნდა მიმართონ.

,,თვითონ მოსახლეობა უნდა გააქტიურდეს და სწორად გამოიყენოს ის, რომ ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიების გვერდით ცხოვრობენ. ჩვენი მთვარი ფუნქცია კი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაა“ – აცხადებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვმჯდომარე, ინგა მაღრაძემ აღნიშნა, რომ ხარაგაულისთვის ტურიზმი უნდა გახდეს ერთ–ერთი წამყვანი სფერო. ამისათვის საჭიროა მივიღოთ მეტი ცოდნა და გამოცდილება, რომ გამოვიყენოთ ჩვენი პოტენციალი.

აღნიშნულ პროექტს ორგანიზაცია ,,GEO“ (Georgia’s Environmental Outlook) კავკასიის ბუნების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. ,,GEO“ -ს მიზანია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტას საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

**მანანა ბაბლიძე**

**მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**

# მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა გაიმართა

14 სექტემბერს ხარაგაულის კინოთეატრში შეხვედრა გაიმართა, რომელზედაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელმა ვაჟა ქადაგიძემ მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედ მეფუტკრეებს და მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირებს გააცნო. შეხვედრას ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ბონდო კიკნაველიძე და სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ. ვაჟა ქადაგიძის ინფორმაციით, კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მეშვეობით ახორციელებს, 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება. პროგრამის მიზანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფ-



ლისა და მეფუტკრეობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება, მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდაა. მაღალმთიან რეგიონებში შექმნილი კოოპერატივის მეპაიეთა

რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე - 11-ზე ნაკლები. ასევე მაღალმთიან რეგიონში შექმნილ კოოპერატივს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 სკა ფუტკრის ოჯახით, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რეგისტრირებული კოოპერატივების შემთხვევაში - არანაკლებ 60 სკა ფუტკრის ოჯახით.

განაცხადის შეტანიდან 20 სამუშაო დღეში განმცხადებელს ეცნობება ჩაერთვება თუ არა კოოპერატივი ამ პროგრამაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მონაწილეებს სკების შესყიდვისთვის სახელმწიფო 70%-ით დაეხმარება. მონაწილეს ასევე უფლება აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში შესამოწმებლად უფასოდ წარადგინოს.

შეხვედრაზე დასმულ იქნა შეკითხვა იმის თაობაზე შეძლება თუ არა კოოპერატივმა, რომელსაც უკვე აქვს სკები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები სხვა ინვენტარის შესაძენად გამოიყენოს. სააგენტოს უფროსმა ვაჟა ქადაგიძემ განმარტა, რომ პროგრამით ამ ეტაპზე ეს გათვალისწინებული არ არის. რომ ეს არის პროგრამა რომელიც გვაძლევს შანსსუფრო მეტად გაიზარდოს წარმოებული თაფლის ხარისხი და რაოდენობა. ამის შემდეგ მეწარმეს საშუალება ექნება თავისი ხარისხიანი ნაწარმი საზღვრებს გარეთ ლეგალურად გაიტანოს.

მარიანა ბურჯალიანი

# თაობათა აღმზრდელი

ადამიანი, რომელსაც თავისი სამშობლო და მინდობილი საქმე თავდადებით უყვარს, ყველა ეპოქაში პოულობს თავის ადგილს, რომ თავის საყვარელ საქმეს ემსახუროს და თანამემამულეთა ნდობა და სიყვარული დაიმსახუროს. ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება ბატონ ზურაბ სამხარაძის ხანგრძლივ წარმატებულ საქმიანობას.

ზურა მასწავლებელი! სწორედ ასე მიმართავენ უმცროსი კოლეგები, ყოფილი აღზრდილები და აღსაზრდელები, ქართული კალათბურთის ამაგდარს, მრავალი თაობის აღმზრდელს, უებრო მეგობარს, კეთილსინდისიერების ნიმუშს ბატონ ზურაბ სამხარაძეს. მის დამსახურებაზე და მასზე აღმატებულად საუბარი იმის გათვალისწინებით მინდა ვუამბო ხარაგაულს საზოგადოებას, რომ ზურაბი ხარაგაულელია და ამჟამად თბილისის საკალათბურთო წრეებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ძველი თაობის ინტელიგენციის და ხარაგაულის განათლების სისტემაში შემორჩენილ უხუცეს პედაგოგებს აუცილებლად ემახსოვრებათ ზურაბ სამხარაძის მამა, ეპიფანე სამხარაძე, რომელიც 1950-60-იან წლებში ლაშის საშუალო სკოლის დირექტორი გახლდათ. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ წერილის ადრესატი ყოველ ზაფხულს მშობლიურ ლაშეში ატარებს.

ზურა სამხარაძე ქართულ საკალათბურთო წრეებში საუკეთესო სპეციალისტად არის ცნობილი. ამ ხუთიოდე წლის წინ 2010 წლის აპრილში, თქვენი მონა-მორჩილი ამ წერილის ავტორი, ხარაგაულელ გოგონებს ვახლდი თბილისში ბავშვთა საკალათბურთო ლიგის ჩემპიონატზე, ნეტავ გენახათ როგორი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ხარაგაულელების მიმართ. საწვრთნელ ვარჯიშზეც მიმიწვია და თავისი სამწვრთნელო გამოცდილების ნიმუში მიჩვენა. ესაა მაგალითი თუ, როგორ სათუთად და საქმის გულისყურით უნდა აზიარო დამწყები ბავშვები საყვარელ საქმე. წამოსვლისას 20 ცალი კალათბურთს ბურთი საჩუქრად გამომატანა და ყველა თაობის ხარაგაულელიც დიდი სიყვარულით მოიკითხა. ღირსეულ პიროვნებას, დაფასებულ ადამიანს 4 სექტემბერს დაბადების დღე ჰქონდა. მინდა მთელი ხარაგაულის სახელით მივულოცო, ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, უფლის წყალობა თავის საყვარელ და დიდ ოჯახთან ერთად. გულწრფელად გეუბნებით, გვიყვარხართ და გვეიმედებით!

ხარაგაულელების დავალებით
- ბეჟან ჩხეიძე

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2015 წლის 21 სექტემბრის სხდომის საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: როინ გელაშვილი

2. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მოხსენება ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: იუზა კელენჯერიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N11 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ზაალ ორბელაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N 50/11 განკარგულებაში ,,საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: როინ გელაშვილი

5.სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შეთანხმების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მოხსენებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის N 1504 და 7 სექტემბრის N 1881 განკარგულებების საფუძველზე კვლავ შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 20 იანვრის N 39 განკარგულებაში, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2 313 006 (ორი მილიონ სამასცამეტიათას ექვსი) ლარი შემცირდა 122 735 (ასოცდაორიათას შვიდასოცდათხუთმეტი) ლარით და განისაზღვრა 2 190 271 ლარით (ორი მილიონ ასოთხმოცდაათიათას ორასსამოცდათორმეტი) ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერებით გაწეული ეკონომიის გამო საბოლოოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა პროექტების მიხედვით განისაზღვრა:

1. კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია 683 698 ლარი;
2. ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია 600 000 ლარი;
3. დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მისის მიმდებარე ქუჩებზე (დევდარიანის, გურამიშვილის, ჭიპაშვილის) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა 173 890 ლარი;
4. დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - 38 791 ლარი;
5. დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია 92 223 ლარი;
6. დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია 449 999 ლარი;
7. ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია 12 0 000 ლარი;
8. საპროექტო დოკუმენტაციისა და და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა 31 670 ლარი.
9. მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ა(ა)იპ-ების მოთხოვნები 2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში დამატებითი თანხის მოთხოვნის შესახებ, მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მოთხოვნილი თანხების სრულად გამოყოფა, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ა(ა)იპ-ებს ამ ეტაპზე გამოეყოთ დამატებით სუბსიდია 83. 5 ათასი ლარის ოდენობით

აქედან:

- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ჩხერიმელა 2009" – 30.0 ათ.ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 17.0 ათ.ლარი;
- ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავება -30.0 ათ.ლარი;
- (ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიგა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი - 5.5 ათ.ლარი;
- ა(ა)იპ ხარაგაულის ისტორილი მუზეუმი 1,0 ათასი ლარი.

10. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის დეპუტატთა უფლებამოსილების ხარჯების შესავსებად დამატებით ესაჭიროება 25,6 ათასი ლარი, აქედან 20,0 ათასი ლარი შევსებული იქნას შრომის ანაზღაურების ხარჯებიდან და 5,6 ათასი ლარი მიიმართოს ნაშთიდან.

11. მუნიციპალიტეტის გამგეობას ესაჭიროება დამატებით 31,1 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად.

12. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს ასევე დამატებით ჭირდება 8,0 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად 6,5 ათასი ლარი და 1,5 ათასი ლარი საოფისე ხარჯების გასაწევად.

ზემოთ აღნიშნული ხარჯების შესავსებად სულ საჭიროა 128,2 ათასი ლარი, ამ ხარჯების გაწევა მოხდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მომართვის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსების წესით განხორციელების უზრუნველყოფას, კერძოდ გზების, ხიდებისა წყლის სისტემის თანადაფინანსებას, საჭიროა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ ბიუჯეტში დარგობრივი ცვლილება და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ხარჯების დაფინანსებაში 30,7 ათასი ლარის გადმოტანა, მათ შორის გზების ხარჯებიდან 23,7 ათასი ლარი, წყლის სისტემის ხარჯებიდან 5,0 ათასი ლარი და ხიდების რეაბილიტაციის ხარჯებიდან 2,0 ათასი ლარი.

სულ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 9 627. 6 ათ. ლარი შემცირდეს 122. 7 ათასი ლარით და განისაზღვროს 9 504. 9 ათასი ლარით. (შემცირება განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯზე)
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 10 266. 2 ათასი ლარი გაიზარდოს 5,5 ათასი ლარით და განისაზღვროს 10271,7 ათასი ლარით.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ვლადიმერ გელაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12